

მოსახლეობის ზრდისა და გლობალური პრობლემების შესახებ

შოთა ვეშაპიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოციირებული პროფესორი

თამაზ ზუბიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოციირებული პროფესორი

მოსახლეობის ზრდა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ტენდენციაა. მისი ზრდის ტემპი თანდათან მნიშვნელოვნად კლებულობს. შეიმჩნევა მოსახლეობის ზრდის ტემპების განსხვავებები განვითარებულ, განვითარებად და გაჩაღმავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის. განვითარებულ ქვეყნებში, ფეხტიდობის შემცირება და მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ზრდა მოსახლეობის ჰაოდელობის სტაბილიზაციას და დაბეებას განაპირობებს. საეხთაშორისო მიგხაცია ამ ქვეყნებში ხდება მოსახლეობის ხიცხოვნობის ზრდის მნიშვნელოვანი წყახო. მხავად განვითარებად ქვეყანაში, შენახრუნებუღია მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპები.

მხავად განვითარებად ქვეყანას ხომღებსაც ნაკღებად შეუღღიათ დაღღონ თანიანი მოსახლეობის ზრღით გამოწვეული პრობღემები, ხაც დაკავშიღებულია ზრღადი მოსახლეობისთვის შემოსავღების სათანადო ღონის, სასუხსათო უსაღფთხოების, სამუშაოთი და ძიღითადი სოციადუღი მომსახუღობით უზღუნვეღყოფასთან. გაღდა ამისა, ღიღი მნიშვნეღობა აქვს იმ ბუნებღივი ღესუღსებით სათანადო მაღთვას, ხომღებიც მხავად განვითარებად ქვეყანაში ძვეღღებუღად უზღუნვეღყოფენ მოსახლეობის ღიღი ნაწიღის გაღაღრენას.

საქაღთვეღომ, გაღღამავალი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნების მსგავსად, გასული საუკუნის 90-იანი წღებიღან, ხოღესაც ქვეყანამ საგეგმო-ადმინისტაღიციული სამუღუნეო სისტემიღან საბაზღო ეკონომიკაზე გადასვღა დაიწყო, ღღმა ეკონომიკუღი კიღიღისი განიღადა. ქვეყანაში ცხოვღების პიღობები გაუაღესღა, მოსახლეობის ხიცხოვი კი შემციღდა. მოსახლეობის ზრღა სიღაღიბის, სასუღსათო და ეკოღოღიღი გღობადუღი პრობღემების წაღმოშობის წინაპიღობას ქმნის. აღნიშნული გამოწვევების დასაღღევად მნიშვნეღოვანია საეღთო ძაღისხმევის გაღღიღება და მსოფღიოს სხვადასხვა ქვეყნების ინტეღესების და მოთხოვნიღებების გათვადისწინება.

საკვანძო სიღყვები: მოსახლეობის ზრდის ტემპი, გღობადუღი გამოწვევები, მღგაღი განვითარების მიზნები.

ქვეყნებს შორის მყარი, მასშტაბური კავშირები წინა საუკუნემღე სუსტი იყო. XX საუკუნეში ინტერნაციონალიზაციამ მნიშვნელოვანი ევოღუცია განიღადა. ეს იყო ეროვნულ მეურნეობების მჭიდრო დაკავშირებისა და გაერთიანების საუკუნე. ამ პერიოღში ეროვნული მეურნეობების ურთიერთდაახლოება და მათი ურთიერთღეავღენა განმტკიღდა და გაღღიღდა.

XX საუკუნის ბოლო მეოთხედიღან ინტერნაციონალიზაციამ ზოგადპლანეტარული მასშტაბი შეიღინა. XXI საუკუნე გღობალიზაციის საუკუნეა. მთელი მსოფღიო სულ უღრო ელტვის ერთიან სტანდარტებს, პრინციპებსა და ღირებუღებებს, აქტიურად წყღება ზოგადპლანეტარული ინსტიტუციონალიზაციის ფორმიღების და ახალი მსოფღიო წესრიღის საკითხები. სამყარო ზოგადპლანეტარული განვითარების, ანუ გღობალიზაციის ეპოქაში შევიღა.

გღობალიზაცია თანამეღროვე პერიოღის მნიშვნელოვანი, რთული და მრავალფეროვანი პროცესია, რომელიც გავღენას ახდენს რვენი პლანეტის მთელ მოსახლეობაზე და მასში მიმღინარე ყველა პროცესზე. რნდება გღობალური პრობღემები, რომლებიც ყველა ქვეყანას, ანუ მთელ კაცობრიობას, დეღამინაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს ეხება. მათი გადაჭრა მხოლოდ ყველა ქვეყნის გარეთიანებუღი ძაღისხმევიღ არის შესაღღებელი. ასეთ პრობღემებს მიეკუთვნება მღგრაღი განვითარების მიზნები. მღგრაღი განვითარება 17 მიზანსა და 169 ინდიკატორს მოიღავს. მათზე თანხმდება გაეროს ყველა წვეერი ქვეყანა. აღნიშნული მიზნები უკეთესი და უღრო მღგრაღი მომავლის მისაღწევად ყველა ქვეყნის

წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება. მნიშვნელოვანია სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხები, კლიმატური და ეკოლოგიური გამოწვევები. ეს მიზნები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და 2030 წლამდე პერიოდს მოიცავს.

პლანეტის მრავალი ისტორიული პროცესი და მოვლენა დაკავშირებულია მოსახლეობის რაოდენობასთან და მის დემოგრაფიულ სტრუქტურასთან. დემოგრაფიული პრობლემა სამ შემადგენელ პრობლემად იყოფა: ზრდა, მიგრაცია და მოსახლეობის დაბერება. (აღნიშნულ პრობლემათიკას ეძღვნება შემდეგი ნაშრომები: აფციაური, 2020; გუროვა, 2014; ზუბიაშვილი, 2018; თოფურია, 2021; მოვსესიანი & ოგნიცევი, 2003; Cohen, 2000; Maddison, 2003 და სხვები).

მსოფლიო მოსახლეობის ზრდა დასაბამიდან დღემდე დიდად განსხვავებული ტემპებით ხასიათდება. როგორც N 1 ცხრილიდან ირკვევა, მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი დაჩქარებული ზრდა გასული საუკუნის ბოლო 200 წლის განმავლობაში მოხდა. X-XVIII საუკუნეებში საშუალოწლიური ზრდა 0,02%-ს შეადგენდა, ხოლო შემდგომ ორ საუკუნეებში ზრდა 0,98%-ს გაუტოლდა.

მოსახლეობის ზრდის სხვადასხვა ბიუროების პროგნოზების მოხედვით, მისი მისი რაოდენობა, ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი ზრდადი შემცირების პირობებში 2050 წლამდე კვლავ გაიზრდება. ზოგიერთი პროგნოზით, 2050 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა შეიძლება 7,7 მლრდ-დან 11,1 მილიარდამდე გაიზარდოს. ნიუ – იორკი - ახალი კვლევის თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა ივლისში The Lancet- ში, შემდგომი ზრდა „ამ საუკუნეში აღარ იქნება მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების ყველაზე სავარაუდო ტრაექტორია“.

ჟურნალ The Lancet-ის 2019 წლის პროგნოზის მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობა, მიაღწევს რა პიკს, 9,7 მილიარდ ადამიანს 2064 წელს, დაიკლებს და 2100 წლისთვის - 8,8 მილიარდამდე შემცირდება. პროგნოზის მიხედვით, 23 ქვეყანაში, კერძოდ იაპონიაში, ტაილანდში, ესპანეთსა და უკრაინაში და სხვა ქვეყნებში, 2100 წელს მოსახლეობა უკეთეს შემთხვევაში 2017 წელს მისი მოსახლეობის ნახევარს გაუტოლდება, ხოლო „ კიდევ 34 ქვეყანაში ის სავარაუდოდ 25-30%-ით შემცირდება. ჩინეთში მოსალოდნელია მუსახლეობის 48.0% -იანი კლება.

ცხრილი N 1. მსოფლიო მოსახლეობის ზრდა

ქვეყნები	მოსახლეობა, მლნ. კაცი				საშუალოწლიური ტემპი, %		
	0	1000	1820	1998	0-1000	1 0 0 0 - 1820	1820-1998
განვითარებული ქვეყნები							
დასავლეთ ევროპა	24.7	25.4	132.9	388	0.00	0.20	0.60
აშშ, კანადა, ავსტრალია	1.2	2.0	11.2	323	0.05	0.21	1.91
იაპონია	3.0	7.5	31.0	126	0.09	0.17	0.79
სულ	28.9	34.9	175.1	837	0.02	0.20	0.88
განვითარებადი ქვეყნები							
ლათინური ამერიკა	5.6	11.4	21.2	508	0.07	0.08	1.80
აღმოსავლეთ ევროპა და ყოფილი სსრკ	8.7	13.6	91.2	412	0.05	0.23	0.85
აზია (იაპონიის გამოკლებით)	171.2	175.4	679.4	3390	0.00	0.17	0.91
აფრიკა	16.5	33.0	74.2	760	0.07	0.10	1.32
სულ	202.0	233.4	866.0	5069	0.01	0.16	1.0
სულ მსოფლიოში	230.8	268.3	1041.1	5908	0.02	0.17	0.98

წყარო: Maddison A. The World Economy. A Millennial Perspective. P.28

საქართველოს შესახებ მონაცემები ასახულია N2 ცხრილში. ცხრილში მითიებული რიგითი ნომერი (N) ასახავს, მსოფლიოს 232 ქვეყანას შორის, რომელ ადგილს იკავებს ესა თუ ის ქვეყანა მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზის მედიანური ვარიანტის მიხედვით. ცხრილში მოყვანილი პოსტ-საბჭოთა ეკონომიკის ქვეყნებიდან, პროგნოზის მიხედვით, მხოლოდ აზერბაიჯანი ინარჩუნებს 2050 წლამდე მოსახლეობის ზრდის ტენდენციას. რუსეთის, უკრაინის, საქართველოს, მოლდოვას და სომხეთის მოსახლეობა კი მნიშვნელოვნად მცირდება. ამ ქვეყნებში, 2050-2100 წლებში მოსახლეობის ზრდის ტემპები კიდევ უფრო მეტად დაიკლებს. 2100 წელს, აზერბაიჯანის მოსახლეობის რიცხოვნობა 2015 წლის დონეს დაუბრუნდება.

ცხრილი 2. ქვეყნების სია მათი მოსახლეობის საპროგნოზო რიცხოვნობის მიხედვით გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის შეფასებით, პროგნოზის საშუალო ვარიანტის მიხედვით 2015, 2020, 2030, 2050 და 2100 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

N	ქვეყანა	2015	2020	2030	2050	2100
	მსოფლიო	7 383 001,820	7 731 621,621	8 322 701,853	9 300 351,925	11 072 711,524
22	რუსეთი	143 888,004	143 786,842	140 543,418	132 730,511	124 012,605
69	უკრაინა	44 657,704	43 579,234	41 200,374	36 415,702	28 185,563
100	აზერბაიჯანი	9617,484	10 099,743	10 680,202	11 039,198	9558,619
146	საქართველო	3999,812	3977,028	3868,370	3483,128	2438,210
152	მოლდოვა	4068,897	4020,988	3838,660	3243,158	1855,779
153	სომხეთი	3017,712	3038,097	2992,693	2728,735	1793,392

წყარო: Total Population — Both Sexes. De facto population in a country, area or region as of 1 July of the year indicated. Figures are presented in thousands. (XLS, 3.74 MB)

ზემოთ აღნიშნული პროგნოზი მოსახლეობის ბუნებრივი კვლავნარმოების შემდეგ განმსაზღვრელ ფაქტორებს ითვალისწინებს: 1. მოსალოდნელია, რომ გაგრძელდება ფერტილობის შემცირება, რაშიც დიდ როლს ასრულებს დონორი-ქვეყნების და ოჯახის დაგეგმვის ინსტიტუტების მხარდაჭერა და ეკონომიკის და განათლების დონის ზრდა; 2. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მოსახლეობის დინამიკაზე გავლენას ახდენს, არის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაში; 3. ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა.

მსოფლიოს მოსახლეობა იზრდება ბუნებრივი კვლავნარმოების შედეგად. მაგრამ მოსახლეობის კვლავნარმოება ცალკეულ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ მოსახლეობის ბუნებრივი მატების, არამედ საერთაშორისო მიგრაციის შედეგადაც. ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მოსახლეობა, მიუხედავად ბუნებრივი კლებისა, კვლავაც იზრდება მასიური იმიგრაციის შედეგად. ბუნებრივი ზრდა მოსახლეობის ზრდის ძირითადი წყაროა ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრალია, აშშ, იაპონია მაშინ, როდესაც თითქმის ყველა განვითარებულ ევროპულ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდა ხდება იმიგრაციის შედეგად მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში (1960-იანი წლების დასაწყისში) მოსახლეობის ზრდის ძირითადი წყარო იყო ბუნებრივი ზრდა.

საერთაშორისო მიგრაციული გადაადგილებები მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და დემოგრაფიულ გავლენას ახდენენ გამშვები, სატრანზიტო და მიმღები რეგიონების მდგომარეობაზე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა შობადობის დაბალი დონე და მოსახლეობის დაბერება, „ტვინების გადინება და შედინება“, მიგრანტების ფულადი გზავნილები, ადამიანთა უფლებები, სოციალური ინტეგრაცია, ქსენოფობია, საზღვარზე ადამიანების უკანონო გადაყვანა, ეროვნული უსაფრთხოება. მიგრაციას

დადებითი წვლილი შეაქვს როგორც მიგრანტების გამშვები, ასევე მიგრანტების მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. მაგრამ მიგრაციას უარყოფითი შედეგებიც მოჰყვება, მაგალითად, უკანონო მიგრაციის მასშტაბების და ლტოლვილების და თავშესაფარის მაძიებელი პირების რაოდენობის ზრდა. ამასთან დაკავშირებით ჩნება ისეთი მიგრაციული პოლიტიკის აუცილებლობა, რომელიც დაძლევს უარყოფით შედეგებს და კონსტრუქციულად გამოიყენებს მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციის უპირატესობებს. მიგრაცია არა მხოლოდ ქვეყნებს შორის, არამედ თვით ქვეყნებშიც ხდება. ყველაზე დიდი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგები აქვს ქალაქში სოფლის მოსახლეობის მიგრაციას, რაც ქალაქების ეკონომიკას და ურბანიზაციას ზრდის. მსოფლიოს ქალაქების მოსახლეობა სოფლის მოსახლეობაზე 4-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება.

დღეს აქტიურად განიხილება მოსახლეობის ზრდის ეკონომიკური და სოციალური შედეგები. მოსახლეობის დინამიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელ რიგ გლობალურ პრობლემებთან, უპირველეს ყოვლისა კი – სიღარიბის და სასურსათო და ეკოლოგიურ პრობლემებთან. უკვე დღეს მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯანსაღი ცხოვრებისთვის აუცილებელი ძირითადი პირობების უკმარისობას განიცდის. თითქმის 1,3 მლრდ ადამიანი ცხოვრობს აბსოლუტური სიღატაკის პირობებში, 840 მლნ ადამიანი კვების პროდუქტების და თითქმის 1,4 მლრდ ადამიანი – სასმელი წყლის უკმარისობას განიცდის, თითქმის 900 მლნ ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია.

ზოგიერთი შეფასებით, „დემოგრაფიული ზეგავლენა“ უარყოფითად მოქმედებს ცხოვრების დონეზე, ხოლო დაბალმა შობადობამ, პირიქით, შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდამ სურსათის წარმოების ზრდა გამოიწვია, მაგრამ სურსათის პრობლემა ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. თითქმის 800 მლნ ადამიანი ქრონიკულად ვერ ღებულობს საკმარის საკვებს, 2 მლრდ ადამიანს არ გააჩნიათ საკმარისი სასურსათო უსაფრთხოება. დღეს თევზის მსოფლიო მარაგების 3/4-ის ჭერა ზღვრულ დონეზე ხდება. ბოლო 50 წლის განმავლობაში მსხვილი ზღვის მტაცებლების 90% იყო დაჭერილი.

ადამიანთა საზოგადოების საქმიანობას გლობალურ გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს და ეკოლოგიური პრობლემების ზრდას იწვევს. მრავალ ადგილას მოსახლეობის ზრდა აჩქარებს ტყეების, თევზის მარაგის და სასოფლო-სამეურნეო ფართობების განადგურებას. მოსახლეობა, რომელიც უშუალოდ იტანჯება გარემოს დეგრადაციის გამო, ძირითადად თავმოყრილია აფრიკის (საჰარის სამხრეთით), სამხრეთ აზიის და ლათინური ამერიკის ზოგიერთი რაიონის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. მოსახლეობის ცხოვრება და საქმიანობა იწვევს გლობალური კლიმატის შეცვლას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაგანახლებადი რესურსების დაკარგვას, ბუნებრივი გარემოს დაბინძურების ზრდას.

ეკოსისტემებზე ანთროპოგენული წნეხის შეფასებისთვის შემოღებულია ისეთი ცნება, როგორიცაა „ეკოლოგიური ნაკვალევი“, ანუ ეკონაკვალევი. ეკოლოგიური ნაკვალევი არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დაახლოებით განისაზღვროს ტერიტორიის ფართობი ე. წ. გლობალურ ჰექტრებში, რაც საჭიროა მოხმარებული რესურსების წარმოებისთვის (მაგალითად, თბური ენერჯია, ძრავის სანჯავი ან საკვები პროდუქტები), ასევე გადამუშავების, შთანთქმის ან ამ ნარჩენების წარმომქმნელ ბუნებრივ ციკლში ჩართვისთვის. თუკი უფრო მეტი რესურსი გამოიყენება ვიდრე დედამიწა იძლევა, კაცობრიობა მდგრადი განვითარების პრინციპების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ეკოლოგიური კვალი იზომება საერთო ჰექტრების რაოდენობით, რომელიც მოდის ერთ ადამიანზე წელიწადში. ერთი საერთო ჰექტარი დედამიწის ტერიტორიის საშუალო ბიოლოგიური ნაყოფიერების მიწის ერთ ჰექტარს შეესაბამება.


როგორც ადამიანის ეკოლოგიური ნაკვალევის განმსაზღვრელი ფაქტორების N1 გრაფიკიდან ჩანს, ბიოტევადობა = ფართობი x ბიოპროდუქტიულობა (წარმოება). ხოლო, ეკო-

ლოგიური ნაკვალევი = მოსახლეობის რიცხოვნობა x მოხმარება ერთ ადამიანზე x რესურსების გამოყენების ეფექტიანობა. გრაფიკზე ასევე ნაჩვენებია გადახარჯვის გამომწვევი ფაქტორები.

ეკონაკვალევის განსაზღვრით, შესაძლებელია გარემოზე ადამიანის საერთო ზეგავლენის ასახვა. მსოფლიოს „ეკოლოგიური კვალი“ დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხვზე, მოსახლეობის ერთ სულზე რესურსების საშუალო მოხმარებაზე და გამოყენებული ტექნოლოგიის ენერგოტევადობაზე. 1970-1996 წწ-ში მსოფლიოს „ეკოლოგიური კვალი“ გაიზარდა 11.0 მლრდ-დან 16.0 მლრდ ტერიტორიულ ერთეულამდე. ამ დროს (1985-1996 წწ.-ში) „ეკოლოგიური კვალის“ საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა და 2,85 ტერიტორიულ ერთეულს შეადგენდა.

ეკოლოგიური ნაკვალევი შესამჩნევად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში, რასაც ინდუსტრიალიზაციის დონე და მოხმარების მოდელები განაპირობებს. საშუალო სტატისტიკური ადამიანის ეკოლოგიური ნაკვალევი მაღალი შემოსავლის ქვეყანაში თითქმის 6-ჯერ მეტია, ვიდრე დაბალი შემოსავლების ქვეყანაში და გაცილებით მეტია იმ „კვალზე“, რომელსაც ტოვებს ნაკლებად განვითარებულ

გრაფიკი N1: ეკოლოგიური ნაკვალევის და ბიოტევადობის დინამიკა მოსახლეობის ერთ სულზე 1961 – 2010 წწ.



წყარო: Global Footprint Network, 2011.

ქვეყნებში ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს მხედველობაში მივიღოთ ზეგავლენის ყველა წყარო, რომელსაც ახდენს ადამიანთა საზოგადოება ბუნებაზე. მაგალითად, თუმცა აშშ-ს მოსახლეობა ინდოეთის მოსახლეობის მხოლოდ 1/4-ს შეადგენს, მისი ეკოლოგიური კვალი მნიშვნელოვნად მეტია. 2004 წელს აშშ-ს საერთო ნახშირორჟანგის გამონაბოლქვმა შეადგინა 6 მლრდ ტ (მთელი მსოფლიო გამონაბოლქვის 20%), მაშინ, როდესაც ინდოეთის გამონაბოლქვია 1,3 მლრდ ტ (4,6%). ეკოლოგიური გავლენა შეიძლება გაიზარდოს მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაციის შემთხვევაშიც. ჩინეთში, მაგალითად, მოსახლეობის ზრდა მკვეთრად შემცირდა, მაგრამ ნავთობის და ნახშირის მოხმარება და, ამასთან დაკავშირებული დაბინძურება კვლავაც იზრდება. თუ 1990 წელს ჩინეთის გამონაბოლქვი შეადგენდა 2,3 მლრდ ტ ნახშირორჟანგს (10,6 % მთელი მსოფლიო გამონაბოლქვისა), 2005 წელს ის უკვე 5 მლრდ ტ-ნაა (17,3%).

მოსახლეობის ზრდის პრობლემების რეგულირების მიზნით სახელმწიფოები დემოგრაფიულ პოლიტიკას მიმართავენ. ეს შეიძლება იყოს განათლების ზრდა (განსაკუთრებით, გოგონებისთვის), ოჯახის დაგეგმვის მომსახურების გაუმჯობესება, სამედიცინო დაზღვევა, საპენსიო გეგმები, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვის გაუმჯობესება და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება და სხვა.

განვითარებული ქვეყნები, დემოგრაფიულ პოლიტიკის ზომების გამოყენებით, 2050 წლისთვის შეინარჩუნებენ დღეისათვის არსებულ შრომისუნარიანი მოსახლეობის ოდენობას. ზოგიერთი შეფასებით, ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ანუ სხვადასხვა მიმართულებით ერთდროული მოქმედების შემთხვევაში, საკმარისი იქნება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილის გაზრდა 3-4%-ით, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში იმიგრანტების წილის 10%-მდე დაყვანა და საპენსიო ასაკის 2-3 წლით გაზრდა.

განვითარებად ქვეყნებში, პირიქით, პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არა მუშა-ხელის ზრდაზე, არამედ იმაზე, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული მომზადებით და სამუშაოთი. აუცილებელია ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ბაზრის მოქნილობას, აუმჯობესებენ განათლების და მომზადების დონეს იმისთვის, რომ მოხდეს აუცილებელი ცოდნის და უნარ-ჩვევების მქონე კადრების ფორმირება. მაგრამ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სწავლის და პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება ფინანსირების დამატებით წყაროებს ითხოვს.

მოსახლეობის პროგნოზების ისტორია მათდამი დიდ ნდობას არ იწვევს. 1798 წელს ინგლისელმა ეკონომისტმა თომას რობერტ მალთუსმა იწინასწარმეტყველა, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი გარდუვალად დაიწყებდა სურსათის წარმოების ზრდის ტემპის გადამეტებას, რასაც მასობრივი შიმშილი მოჰყვებოდა. 1930 -იანი წლების დიდი დეპრესიის დროს, ბევრს მიაჩნდა, რომ მოსალოდნელი იყო მსოფლიოს მოსახლეობის სტაბილური შემცირება. 1950 -იან და 1960 -იან წლებში გაჩნდა ახალი შიში, რომელსაც გამოხატავდნენ ტერმინებით, “პოპულაციური ბომბი” და “შიმშილი 1975!”. ვარაუდოდნენ, რომ მოსახლეობის შემდგომი სწრაფი ზრდა კაცობრიობას და პლანეტას გაანადგურებდა.

სამივე პროგნოზი მცდარი აღმოჩნდა. სიმართლე ისაა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად ვიცოდეთ რამდენი ბავშვი დაიბადება ამ საუკუნის განმავლობაში. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ის, რომ მეტი ძალისხმევა მოვახმაროთ კვების, ჯანმრთელობის, საცხოვრისის და განათლების გაუმჯობესებას და ასევე კეთილდღეობის, მშვიდობის, უსაფრთხოების, პერსპექტივების თანასწორობის, ხარისხიანი გარემოს, კლიმატის სტაბილურობის და თავისუფლების და თითოეული ადამიანის თავისუფლების მიღწევას.

ბავშვების დაბადებისა და აღზრდის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გადარჩენის, მიგრაციისა და სოციალური ინტეგრაციის ტენდენციების თვალსაზრისით, მომავალი დამოკიდებული იქნება იმ ინვესტიციებზე და ვალდებულებებზე, რასაც მსოფლიოს ქვეყნები დღეს და მომდევნო ათწლეულებში განახორციელებენ. გონივრული პოლიტიკური ლიდერობა და მაღალი ხარისხის მასობრივი განათლების მხარდაჭერა ისევე აუცილებელია, როგორც საბაზო კვება, კონტრაცეფციისა და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და კონსტრუქციული საერთაშორისო ურთიერთობები.

The Lancet- ის სტატია, რომელსა უკვე შევეხეთ არ არის პირველი პროგნოზი, რომელიც 2100 წლისთვის გლობალური მოსახლეობის ზრდის შეწყვეტას ვარაუდობს. მაგრამ მისმა ავტორებმა შეიტანეს უნიკალურად მნიშვნელოვანი წვლილი, შემოგვთავაზეს რამდენიმე ორიგინალური გადაწყვეტა მთლიანად მოსახლეობის პროგნოზების ხარისხის გასაუმჯობესებლად. რაც მთავარია, ეს ახალი კვლევა ითვალისწინებს გარე ფაქტორებს შობადობის, სიკვდილიანობისა და მიგრაციის მომავალი დონის პროგნოზირებისთვის. მაგალითად, შობადობის პროგნოზები დამოკიდებულია მომავალ საგანმანათლებლო ვალდებულებებზე და კონტრაცეფციის საშუალებების ხელმისაწვდომობაზე. მიგრაციის

პროგნოზები ითვალისწინებს სულადობრივ შემოსავლის, განათლების, შობადობის, სიკვდილიანობის დონეს (რაც გამოწვეული კონფლიქტებითა და ბუნებრივი კატასტროფებით), აგრეთვე სხვა ცვლადებს.

მსოფლიო მოსახლეობის ზრდის პროგნოზების მიხედვით, აფრიკული წარმოშობის მსოფლიოს მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად უფრო მეტი გახდება (ევროპული, ამერიკული, აღმოსავლეთ აზიის და სამხრეთ აზიური წარმოშობის მოსახლეობასთან შედარებით). მიგრაციის შედეგად, ბევრი საზოგადოება გახდება ბევრად უფრო ჰეტეროგენური ისეთ ასპექტებში, როგორცაა წარმოშობა, ენა, რელიგია, ჩვეულებები, მოლოდინები. რაც არ უნდა გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, ჩვენ მოგვიწევს ვისწავლოთ მშვიდობიანად ერთად ცხოვრება, ან საერთოდ არ ვიცხოვრებთ.

დადამინაზე მრავალი ისტორიული პროცესი და მოვლენა დაკავშირებულია მოსახლეობის რაოდენობასთან და მის დემოგრაფიულ სტრუქტურასთან. დემოგრაფიული პრობლეა სამ შემადგენელ პრობლემად იყოფა: ზრდა, მიგრაცია და მოსახლეობის დაბერება. მოსახლეობის ზრდა მრავალ გლობალურ პრობლემას განაპირობებს. შეიმჩნევა მოსახლეობის ზრდის ტემპების განსხვავებები განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, მაგრამ გლობალური პრობლემები ყველას ეხება. მათი გადაჭრა მხოლოდ გაერთიანებული ძალისხმევით არის შესაძლებელი.

საქონლის და მომსახურების, შრომის და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა შესაძლებელს ხდის გლობალური რესურსების გადანაწილებას და მათ უფრო რაციონალურ გამოყენებას. მაგალითად, განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე მიიღონ აუცილებელი ფინანსური რესურსები ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, მაგრამ ამან შეიძლება რისკების ზრდა და ფინანსური კრიზისები გამოიწვიოს. სამუშაო ძალის საერთაშორისო მობილობას შეუძლია უზრუნველყოს განვითარებად ქვეყნებში სავალუტო შენატანების ისეთი მნიშვნელოვანი წყარო, როგორცაა ემიგრანტების ფულადი გზავნილები, რაც ყოველწლიურად 70 მლრდ დოლარია, ანუ იმდენი, რამდენსაც განვითარებადი ქვეყნების ოფიციალური დახმარების სახით ღებულობენ განვითარების მიზნით. მაგრამ ამ დროს ემიგრაციის ზრდამ შეიძლება „ტვინების გადინება“ გამოიწვიოს, ამიტომ მსოფლიო მეურნეობის ერთობლიობით შექმნილი შესაძლებლობების გამოყენება სახელმწიფო რეგულირებას და დაბალანსებულ ეკონომიკური პოლიტიკას ითხოვს, რაც სხვადასხვა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას ქმნის.

განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის მოსახლეობის ზრდით გამოწვეული პრობლემების დაძლევა დაკავშირებულია შემოსავლების სათანადო დონის, სასურსათო უსაფრთხოების, სამუშაოთი და ძირითადი სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფასთან. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ბუნებრივი რესურსებით სათანადო მართვას, რომლებიც მრავალ განვითარებად ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილის გადარჩენას უზრუნველყოფს. ასევე მნიშვნელოვანია საერთო ძალისხმევის გაძლიერება და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ინტერესების და მოთხოვნილებების გათვალისწინება.

ლიტერატურა:

1. აფციაური, დ., (2020). თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ამჟამინდელი ტენდენციები და პანდემიის (COVID-19) კრიზისის შემდგომი გამოწვევები. თბილისი.
2. ბლიაძე, მ., (2018). ჩემი ეკონაკვალევი.<http://mastsavlebeli.ge/?p=16768>
3. გუროვა, ი., (2014). მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი.
4. ზუბიაშვილი თ. (2018). მოსახლეობა და განვითარება.
5. თოფურია, თ., (2021). საქართველო დემოგრაფიულ ორმოში. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31437323.html>
6. მოვსესიანი ა., ოგნივცევი ს., (2003). მსოფლიო ეკონომიკა, ტ. I, თბილისი.

7. Joel E. Cohen. Population Growth and Earth's Human Carrying Capacity. <https://lab.rockefeller.edu/cohenje/assets/file/226aCohenPpnGrowth&EarthHumanCarryingCapacityConsumptionPpnSustainabilityIslandPress2000.pdf>
8. Angus Maddison, 2003, «The World Economy: Historical Statistics», Vol. 2, OECD, Paris, ISBN 9-2641-0412-7. Архивная копия от 13 мая 2008 на Wayback Machine (англ.)
9. Stein Emil Vollset et al. (14 July 2020). "Fertility, mortality, migration, and population scenarios for 195 countries and territories from 2017 to 2100: a forecasting analysis for the Global Burden of Disease Study". *The Lancet*. DOI:10.1016/S0140-6736(20)30677-2.
10. Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015. https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf
11. Resolution adopted by the General Assembly on 6 July 2017. <https://undocs.org/A/RES/71/313>
12. Data from U.S. Census Bureau, International Data Base Estimates updated December 2009. Retrieved on January 21, 2010.
13. Data from Population Reference Bureau Wayback Machine. Data from United Nations Department of Economic and Social Affairs, Population Division. 1950–2050 estimates (only medium variants shown): (a) World Population Prospects: The 2008 Revision.
14. Colin Clark, 1967, "Population Growth and Land Use," St. Martin's Press, New York, ISBN 0-333-01126-0.
15. The Lancet: World population likely to shrink after mid-century, forecasting major shifts in global population and economic power. Institute for Health Metrics and Evaluation.
16. Sanjeev Sanyal. Sanjeev Sanyal on The End of Population Growth - Project Syndicate. *Project Syndicate*.
17. История населения земли по разным бюро населения. <https://ru.wikipedia.org/wiki/>

About Population Growth and Global Problems

Shota Veshapidze

Associate Professor, Ivane Javakishvili Tbilisi State University

Tamaz Zubiashvili

Associate Professor, Ivane Javakishvili Tbilisi State University

SUMMARY

Population growth is a trend in the modern world economy. Its growth rate is gradually decreasing significantly. Differences in population growth rates are observed between developed, developing and transition economies. In developed countries, declining fertility and expected life expectancy are leading to the stabilization of population size and aging. International migration is becoming an important source of population growth in these countries. In many developing countries, high population growth rates are maintained.

Many developing countries are less able to cope with the problems caused by the growing population, which is related to the provision of adequate income, food security, employment and basic social services for the growing population. In addition, the proper management of natural resources, which in many developing countries have traditionally ensured the survival of a large part of the population, is of great importance.

Georgia, like other countries with economies in transition, has been in a deep economic crisis since the 1990s, when the country began to transition from a planned economic system to a market economy. Living conditions in the country have deteriorated and the population has decreased. Population growth is a precondition for the emergence of global poverty, food and environmental problems. In order to overcome these challenges, it is important to strengthen the joint efforts and take into account the interests and needs of different countries of the world.

Keywords: Population growth rate, global challenges, sustainable development goals.